პროექტი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
განკარგულება №
— მარტი 2026 წელი

ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში, ე.წ. „მუხიანი-2“ -ის დასახლებაში საირმის I შესახვევის სახელის გაუქმების შესახე

საქართველოს ორგანული კანონის - “ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი” 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. გლდანის რაიონში, ე.წ. „მუხიანი-2“ -ის დასახლებაში გაუქმდეს საირმის I შესახვევი.

2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე ზურაბ აბაშიძე

სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

22 ვახტანგ გორგასლის ქუჩა
0114 თბილისი, საქართველო
+995 32 240 54 05
info@napr.gov.ge

06-032604933-03

18 / თებერვალი / 2026 წ.

KA011770339855026

№ 33956

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს (შემდგომში - „სააგენტო“) 2026 წლის 10 თებერვალს წარედგინა თქვენი № 03-032604125 (სააგენტოს დოკუმენტბრუნვის პროგრამაში რეგისტრაციის ნომერი № 36263/17) მომართვა გლდანის რაიონში, ე.წ. მუხიანი 2-ის დასახლებაში, საირმის II შესახვევის გავრცელების არეალის დაზუსტების შესახებ.

მოგახსენებთ, რომ აღნიშნული წარმოების ფარგლებში მონაცემების შესწავლისას დადგინდა, რომ სამისამართო რეესტრში რეგისტრირებულია გეოგრაფიული ობიექტი სახელწოდებით: „ქალაქი თბილისი, მუხიანი 2-ის დასახლება, საირმის I შესახვევი".

ამასთან, სამისამართო რეესტრში აღრიცხული მონაცემების თანახმად, "ქალაქი თბილისი, მუხიანი 2-ის დასახლება, საირმის I შესახვევის" მოხაზულობა კვეთს უძრავ ნივთებზე უფლებათა რეესტრში საკუთრების უფლებით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთებს (იხ. თანდართული სიტუაციური ნახაზი). სააგენტოში დაცულია ქალაქ თბილისის საკრებულოს 2013 წლის 26 აპრილის N42 დადგენილება, რომლის საფუძველზე ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში, „მუხიანი -2“-ის უსახელო ქუჩებს დაერქვა შემდეგი სახელები: პირობითად 47-ე ქუჩას - საირმის ქუჩა.

საქმისათვის არსებითი გარემოებების გამოკვლევისა და ნუმერაციის კანონმდებლობით დადგენილი პრინციპების გათვალისწინების მიზნით, გთხოვთ, უზრუნველყოთ "ქალაქი თბილისი, მუხიანი 2-ის დასახლება, საირმის I შესახვევის" სამისამართო რეესტრში აღრიცხული გეოგრაფიული მონაცემების სისწორის გადამოწმება და მოხაზულობის თაობაზე დაზუსტებული ინფორმაციის მოწოდება.

დანართი: 1 (ერთი) გვერდი.

პატივისცემით,

სამისამართო დეპარტამენტის უფროსი

ხელმოწერილია/
შტამპადასმულია
ელექტრონულად

ნინო ბახია

 სიტუაციური რუკა
N
72.13.30.113
72.13.30.591
72.13.30.592
72.13.30.322
72.13.30.554
72.13.30.253
72.13.30.126
72.13.30.522
72.13.30.427
72.13.30.521
72.13.30.520
72.13.30.418
72.13.30.264
72.13.30.495
72.13.30.265
72.13.30.255
72.13.30.577
72.13.30.509
72.13.30.508
72.13.30.503
72.13.30.342
72.13.30.489
72.13.30.267
72.13.30.350
72.13.30.268
72.13.30.415
0 5 10 20 30 40
მეტრი